საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

04/03/2025

MES 2 25 0000424000

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტის მიხედვით თუ საგანმანათლებლო პროგრამა პირველ (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) ან მე - 4 (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სტანდარტის “მეტწილად შესაბამისობა” განპირობებულია ამავე სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ამ დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (არაუმეტეს 2 წლის ვადაში), რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

1.6. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 24 ივლისის №901819 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე სააკრედიტაციო ვიზიტი.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 1.1 კომპონენტში არსებული შემდეგი ორი რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში: „რეკომენდებულია მიზნები უფრო კონრეტული იყოს გაზომვადი შედეგებით“; „რეკომენდებულია მეტი ყურადღება დაეთმოს საერთაშორისო ასპექტებს, ბიზნეს სფეროს სულ უფრო გლობალური ხასიათიდან გამომდინარე“. შედეგად აღნიშნული კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭოს მიერ დაკორექტირდა 1.3 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია და გადავიდა 1.2 კომპონენტში: „რეკომენდებულია სწავლის შედეგების დეტალური და მკაფიო შეფასების გეგმის შემუშავება“. ამავე კომპონენტში საბჭოს მიერ დაემატა რეკომენდაცია: „რეკომენდებულია დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკები“.
საბჭოს მიერ ამოღებულ იქნა 1.2 კომპონენტში გაცემული შემდეგი რეკომენდაციები: „რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითვალისწინოს სამეწარმეო უნარ-ჩვევები და აზროვნება, რომლებიც ამჟამად მიზნებში არ არის ასახული“; „რეკომენდებულია ზოგიერთი სწავლის შედეგი (PLO) უფრო სპეციფიკური გახდეს გაზომვადი შედეგებით“. დაკორექტირდა 1.2 კომპონენტის შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია სწავლის შედეგებში აისახოს კულტურათაშორის კომპეტენციები“. რჩევებში გადავიდა 1.2 კომპონენტის შემდეგი რეკომენდაციები: „რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს თეორიების გამოყენებას რეალური ბიზნესის სცენარებისთვის“; „რეკომენდებულია მეტი აქცენტი გაკეთდეს ციფრულ წიგნიერებაზე და ბიზნესში მზარდ ტექნოლოგიებზე, მათ შორის ხელოვნურ ინტელექტზე (AI) და მონაცემთა ანალიტიკაზე“.
საბჭოს მიერ დაკორექტირდა 1.5 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია შემდეგნაირად: „რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსების სისტემატური გადახედვის პროცესის დანერგვა“. 1.5 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში: „რეკომენდებულია სასწავლო პროგრამებში საერთაშორისო გამოცდილების უფრო სტრუქტურირებული მიდგომის შემუშავება, კერძოდ: უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერება და სასწავლო კურსებში საერთაშორისო ქეისებისა და კვლევების შედეგების ინტეგრირება“.
ზემოაღნიშნულის შედეგად, საბჭოს მიერ 1.1, 1.2 და 1.4 კომპონენტები შეფასდა როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს მიერ არ შეცვლილა 1.5 კომპონენტის შეფასება და ის „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
საბჭოს მიერ ამოღებულ იქნა 2.1 კომპონენტის კლასტერული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია პროგრამებზე დაშვების წინაპირობების მკაფიოდ ჩამოყალიბება და დეტალურად განსაზღვრა იმ მინიმალური საგნობრივი ცოდნისა და უნარების, რომლებიც აუცილებელია პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად და პროგრამებში განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად“. ასევე ამოღებულ იქნა 2.1 კომპონენტის შემდეგი რეკომენდაცია, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“: „რეკომენდებულია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს და დეტალურად განისაზღვროს შესაბამისი მინიმალური საგნობრივი ცოდნა და უნარები (მაგ. მათემატიკაში, უცხო ენაში და ა.შ.),
რაც საჭიროა ამ საბაკალავრო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად“.
საბჭომ რჩევების ნაწილში გადაიტანა 3.1 კომპონენტის კლასტერული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გაზარდოს გაცვლით პროექტებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად“.
საბჭოს მიერ ამოღებულ იქნა 4.1 კომპონენტის კლასტერული რეკომენდაცია: „სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამები საჭიროებს გაუმჯობესებას, რაც საფუძველს იძლევა ითქვას, რომ პროგრამის ადამიანური რესურსი საჭიროებს დახვეწას, რისთვისაც უსდ-მ უნდა დაგეგმოს თანამშრომლებისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამა, რომელიც ფოკუსირებული იქნება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის თანამედროვე მეთოდებზე“.
საბჭოს მიერ 4.3 კომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭოს მიერ ამოღებულ იქნა 5.1 კომპონენტის კლასტერული რეკომენდაცია, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“: „რეკომენდებულია ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების/ინსტრუმენტების შემუშავება, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტირების უზრუნველყოფა და მათი სათანადოდ განხორციელება“. საბჭოს მიერ 5.3 კომპონენტის ერთ-ერთი რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევების ნაწილში, შედეგად მე-5 სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“: „რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასების მექანიზმი“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 თებერვლამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 4 მარტის სხდომის №224606 ოქმის №7 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას განესაზღვროს შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები შესასრულებლად:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სწავლის შედეგების დეტალური და მკაფიო შეფასების გეგმის შემუშავება.
2. რეკომენდებულია დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკები.
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსების სისტემატური გადახედვის პროცესის დანერგვა.
4. რეკომენდებულია სანდო და ვალიდური სწავლების/შეფასების მეთოდების გამოყენება, რომლებიც შესაბამისობაში იქნება კურსის/პროგრამის შინაარსთან და გაცხადებულ სწავლის შედეგებთან. რეკომენდებულია პროგრამებისა და სილაბუსების გადახედვა

გამოყენებული აქტივობებისა და დავალებების ანალიზის კუთხით, ასევე სწავლებისა და შეფასების მეთოდების/სტრატეგიების დეტალური აღწერა.

5. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში.
6. რეკომენდებულია უსდ-მ შეიმუშაოს და დანერგოს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგია
7. რეკომენდებულია უსდ-მ შეიმუშაოს ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და გადახედოს პროგრამების ბიუჯეტებს.
8. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პროგრამების თვითშეფასების პროცესებში სრულად და ამომწურავად გამოავლინოს გასაუმჯობესებელი მხარეები, ასევე დაგეგმოს აქტივობები და ვადები გასაუმჯობესებელი სფეროებისთვის.
9. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა სრულად დანერგოს "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე" პრინციპი ყოველდღიურ საქმიანობაში და ჩაატაროს SWOT ანალიზი ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, როგორც ეს უნივერსიტეტის რეგულაციებშია მითითებული.
10. რეკომენდებულია პროგრამული აკრედიტაციის/ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების განხილვა და გათვალისწინება.
11. რეკომენდებულია პროგრამების გარე კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების უზრუნველყოფა როგორც უცხოელი კოლეგების, ასევე უცხოელი/ადგილობრივი დარგის პროფესიონალების მხრიდან.
12. რეკომენდებულია პროგრამების ხარისხის მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების არსებული მექანიზმი.
13. რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულად და ეფექტურად განახორციელოს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგების გამოყენება.
14. რეკომენდებული დაწესებულებამ ჩაატაროს მსგავს უცხოურ პროგრამებთან შედარებითი/საორიენტაციო ანალიზი უნივერსიტეტში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დასანერგად.
15. რეკომენდებულია, სტუდენტებმა შეაფასონ (კითხვარების ან სხვა საშუალებებით) ძირითადი საგანმანათლებლო კურსი / საგანი თითოეული კურსის ბოლოს.
16. რეკომენდებულია პროგრამამ უზრუნველყოს, რომ მაგისტრანტებმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობა.
17. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითვალისწინოს სამეწარმეო უნარ-ჩვევები და აზროვნება, რომლებიც ამჟამად მიზნებში არ არის ასახული.
18. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს თეორიების გამოყენებას რეალური ბიზნესის სცენარებისთვის.
19. რეკომენდებულია მეტი აქცენტი გაკეთდეს ციფრულ წიგნიერებაზე და ბიზნესში მზარდ ტექნოლოგიებზე, მათ შორის ხელოვნურ ინტელექტზე (AI) და მონაცემთა ანალიტიკაზე.
20. რეკომენდებულია ზოგიერთი სწავლის შედეგი (PLO) უფრო სპეციფიკური გახდეს გაზომვადი შედეგებით.
21. რეკომენდებულია სწავლის შედეგებში მეტი აქცენტი გაკეთდეს საერთაშორისო ბიზნესის კონცეფციებსა და სპეციფიკურ კულტურათაშორის კომპეტენციებზე.
22. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო ბლოკში გათვალისწინებული იქნას საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი.

რჩევები:

1. სასურველია სასწავლო პროგრამებში საერთაშორისო გამოცდილების უფრო სტრუქტურირებული მიდგომის შემუშავება, კერძოდ: უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერება და სასწავლო კურსებში საერთაშორისო ქეისებისა და კვლევების შედეგების ინტეგრირება
2. სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს გაცვლით პროექტებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად.
3. სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასების მექანიზმი.
4. სასურველია პროგრამების გასაუმჯობესებლად მიზნების გადახედვა უფრო კონკრეტული და გაზომვადი შედეგების გათვალისწინებით.
5. სასურველია ორივე პროგრამაში, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, აისახოს ინტერნაციონალიზაციის ასპექტები, გლობალური ბიზნეს პრაქტიკისა და კულტურათაშორისი კომპეტენციების მიზნების ჩართვით.
6. სასურველია, მოხდეს ციფრული უნარებისა და ბიზნესში ახალი ტექნოლოგიების უფრო მკაფიო ინტეგრირება.
7. სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს მდგრადი განვითარებისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტები, განსაკუთრებით საბაკალავრო პროგრამაში. სწავლის შედეგებში უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს თანამედროვე ბიზნესის ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა ინოვაციები და მეწარმეობა.
8. სასურველია, მოხდეს პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამის დანერგვა. ეს პროგრამა უნდა შეიცავდეს ვორკშოპებს, სემინარებსა და პრაქტიკულ ტრენინგებს, რომლებიც მიმართული იქნება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის თანამედროვე მეთოდების დაუფლებაზე.
9. სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა ნიშნის გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.
10. სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს უნივერსიტეტში დაგეგმილი სამეცნიერო აქტივობების რაოდენობა.
11. სასურველია დაწესებულებამ გაზარდოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო აქტივობებსა და კვლევით პროექტებში
12. სასურველია უნივერსიტეტამ შექმნას ინოვაციებისა და მეწარმეობის ჰაბი/ლაბორატორია ტრანსფერული უნარების განვითარების მხარდასაჭერად, რაც საფუძვლად დაედება ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებში ინოვაციური კურსების დანერგვას
13. სასურველია შემცირდეს სავალდებულო კრედიტების რაოდენობა და მოხდეს მეტი სპეციალიზებული არჩევითი კურსების ან კონცენტრაციების შეთავაზება.
14. სასურველია კურსის შინაარსის, კომპეტენციებისა და საბოლოო კვალიფიკაციას შორის იყოს მკაფიო შესაბამისობა.
15. სასურველია, პროცესის გამჭვირვალობისა და სიცხადისთვის შესაბამისობის რუკა მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი ყველა დაინტერესებული მხარისთვის.
16. სასურველია ყველა მოდულის/კურსის აღწერილობას ჰქონდეს განახლებული სასწავლო ლიტერატურა
17. სასურველია საბაკალავრო ნაშრომი განიხილებოდეს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტად, რომელიც სტუდენტებს მისცემს კომპლექსური საკითხების კვლევის, დარგობრივი კვლევითი უნარების განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. შესაბამისად, ეს კომპონენტი უნდა განისაზღვროს როგორც ძირითადი სავალდებულო კურსი.
18. სასურველია პრაქტიკული პროექტების განხორციელება, როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 26 თებერვალს.
6. საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით აკრედიტაციის დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ 1 წლის და 6 თვის ვადაში.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა